პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

ჯანმრთელობის მდგრადობა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში / კომპონენტი 1: მზადყოფნის და თანამშრომლობის გაუმჯობესება ჯანმრთელობის ძირითადი საფრთხეების გადასაჭრელად

განხორციელების ვადა: 02.12.2024 - 31.12.2027

EaP ქვეყნები:

აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 2 100 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 2 100 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

ECDC

პროექტის აღწერა:

ჯანმრთელობის მდგრადობა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში: მზადყოფნის და თანამშრომლობის გაუმჯობესება ჯანმრთელობის ძირითადი საფრთხეების გადასაჭრელად.

ეს არის სამწლიანი ინიციატივა (2025-2027) სახელწოდებით „ჯანმრთელობის მდგრადობა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში“. ამ ინიციატივის ფარგლებში განხილულ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მზადყოფნისა და რეაგირების საკითხებს ახორციელებს ევროპის დაავადებათა პრევენციის და კონტროლის ცენტრი (ECDC), ხოლო ჯანმო-ს ევროპის რეგიონული ოფისი ხელმძღვანელობს ამ ინიციატივის ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ჯანდაცვის პერსონალთან დაკავშირებული მიმართულებების განხორციელებას. ინიციატივის ზოგადი მიზანია საკუთარი წვლილის შეტანა ჯანდაცვის სისტემების სამი სტრუქტურული საყრდენის გაძლიერებაში ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

ამ ინიციატივის საშუალებით ევროპის დაავადებათა პრევენციის და კონტროლის ცენტრი (ECDC) ექსპერტული გამოცდილებით უზრუნველყოფს პარტნიორ ქვეყნებს, რათა მხარი დაუჭიროს ამ ქვეყნების მზადყოფნას ჯანმრთელობის სერიოზული საფრთხეებისა და კრიზისების მიმართ, და ამ საფრხეებსა და კრიზისებზე რეაგირებას. ინიციატივის ძირითადი მიზანია ამ ქვეყნებთან თანამშრომლობის საფუძველზე შეფასდეს ჯანდაცვის ეროვნული სისტემების კონკრეტული ასპექტები რეალურ გარემოში ჩატარებული სემინარების, სიმულაციური სავარჯიშოების, რეგიონული ტრენინგის ციკლების, ონლაინ ვებინარების, გამოცდილების ურთიერთგაზიარების და ბილატერალური აქტივობების საშუალებით. ეს შეფასებები ხელს

მოსალოდნელი შედეგები:

1. რეგიონული სიმულაციური სავარჯიშოები;
2. თემატური ვებინარები სპეციალისტების და პრაქტიკოსების ჩამოყალიბებული წრეებისთვის;
3. სემინარები პოტენციალის განვითარებისთვის;
4. რეგიონული საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც გააერთიანებს ჯანდაცვის სისტემების მდგრადობის პრობლემებზე მომუშავე ექსპერტებს, დაინტერესებულ მხარეებს და ჯანდაცვის პოლიტიკის და სხვა შესაბამისი დარგის სპეციალისტებს;
5. აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მზადყოფნის სახელმძღვანელოს შემუშავება და გავრცელება.